ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 512

“4” ოქტომბერი 2024 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, გივი ამილახვარის ქუჩა №11-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.18.004.020) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, გივი ამილახვარის ქუჩა №11-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.18.004.020) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 2 ოქტომბრის №24.1642.1850 განკარგულების დანართი №1-ით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, გივი ამილახვარის ქუჩა №11-ში (საკადასტრო კოდი: №01.19.18.004.020) არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის ფორმით, ერთ ერთეულ უძრავ ქონებაზე სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ამავე დანართით გათვალისწინებულ პირთათვის, გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი №2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

	დანართი N1				
	ქალაქი თბილისი, გივი ამილახვარის ქუჩა N11 (საკადასტრო კოდი: N01.19.18.004.020)				
N	სახელი გვარი	პირადი ნომერი	სართული	ფაქტობრივად დაკავებული ფართი (კვ.მ)	საკადასტრო კოდი
1	ნინო გულბანი	19001009404	სართული 1	31.96	01.19.18.004.020.01.543
2	ნათელა მეცხვარიშვილი	01027039903	სართული 3	35.96	01.19.18.004.020.01.547
3	ლელა სესიაშვილი	13001021418	სართული 2	39.4	01.19.18.004.020.01.542
4	თინათინი კვანჭიანი	39001001167	სართული 3	34.63	01.19.18.004.020.01.548
5	ზაზა ტურიაშვილი	45001003490	სართული 1	60.09	01.19.18.004.020.01.549